# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

...ასაკვეთად და კერძო განცხადებათვის უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი** 1877—1892



„წერა-კითხვის საზოგადოებისა" და „ქართველთა ამხანაგობის" წიგნის მაღაზიებში ისყიდება

ახალი წიგნი:

**თავადი ილია ჭავჭავაძე**

და

**იმისი მოღვაწეობა.**

ფასი 20 კაპ. 3—1

მთავრობის ნება-დართვით ამ წლის 20 აპრილს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საგანგებო კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა იმ ღონისძიებათა განსახილველად, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას სათავად-აზნაურო მამულების ხელუხლებლად დასაცველად, და აგრეთვე სხვა საქმეთა განსასჯელად.

აცხადებს რა ამას, ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უმორჩილესად სთხოვს თავად-აზნაურთ, რათა დანიშნულს დროს მობრძანდნენ ზემოხსენებულს კრებაზედ დასასწრებლად. (3—3)

ახლად გაიმართა კანტორა

**ნოტარიუს გრიგორიევისა**

ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზედ,

იაკობ გურგენოვის სახლში, № 2. 3—1

**ქართული თეატრი**

კვირას, 19 აპრილს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან

**მ. მ. საფაროვის** თაოსნობით

წარმოდგენილი იქნება **ვ. მესხიევის** მონაწილეობით:

I

**ჰამლეტი**

დრამა 5 მოქ., თხზ. ვ. შექსპირისა, ნათარგმნი ი. მაჩაბლის მიერ.

II

**გულმა იგრძნო**

ვოდ. 1 მოქმედებად

ამ წარმოდგენის ნახევარი წმინდა შემოსავალი დანიშნულია ტფილისის ღარიბთა თავ-შესაფარის სახლის სასარგებლოდ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა. ბ-ნნი: მესხიშვილი, გუნია, კანდელაკი, გედევანოვი, მჭედლიშვილი, საფაროვი, თამაზოვი, ადამიძე და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ.


ტფილისი, 18 აპრილი

ამას წინად ლაპარაკი ჩამოვაგდეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მიწის მფლობელობის შესახებ; მოვახსენეთ მკითხველებს, თუ რა საშუალებით სცდილობს ჩვენი გუბერნიის წინამძღოლი მიწად მფლობელობის დამკვიდრებასა და მეურნეობის აღორძინებას ჩვენის უმაღლესის წოდების მამულებში. ბოლოს-კი ჩვენის მხრივ ყურადღება მივაქციეთ მიწის მეტ-ნაკლებობას. ამის შესახებ ციფირებიც მოვიყვანეთ. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, რასაკვირველია, ჩვენს საქართველოში ძნელად მოიპოვება იმისთანა თავად-აზნაური, რომელიც მარტო 2—3, ან 4 დესეტინა მამულის ანაბარას იყოს ასეთი მამულები უთუოდ სხვა-და-სხვა მოქალაქისა; იქნება თითქმის ნახევარზედ მეტს თავად-აზნაურობას 73 დესეტინიანს მამულზედ ნაკლები ექნება. 26,3°/o საერთო მამულისა ისეთს მამულებს შეადგენს, რომლის სივრცეც არ გადააჭარბებს 73—380 დესეტინას.

საქართველოს თავად-აზნაურობა წელში მხოლოდ მაშინ გაიმაგრდება, გაღონივრდება და გამძლავრდება, როდესაც მარტო თავისს მამულს გაიხდის უმთავრეს წყაროდ თავისის ეკონომიურის კეთილდღეობისა, ზნეობრივ და გონებრივ განვითარებისა. მთავრობამ რომ საჩქაროდ დააბოლოვოს მამულების გამიჯვნის საქმე, ხიზნებისა და დროებით ვალდებულ გლეხების დამოკიდებულებას ბოლო მოუღოს და ამასთანავე სესხის გამოტანაც გაუადვილოს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკიდგან, ჩვენის აზრით, ეს მაინც წინ ვერ წასწევს ჩვენს დაქვეითებულს თავად-აზნაურობას, იმიტომ-რომ ეს სრულიად საკმაო არ არის, ჩვენის თავად-აზნაურობის მამულებმა თავიანთი პატრონი ცოტად თუ ბევრად არჩინოს, მკვიდრი და საფუძვლიანი ეკონომიური საძირკველი გაუჩინოს.

ყოველს სახელმწიფოში და თვით შიდა რუსეთშიაც გამოკვლეულია სამეურნეო მეცნიერების შემწეობით ის უკანასკნელი ნორმა ანუ ზომა მამულისა, რომელსაც შეუძლიან აცხოვროს შუათანა თავად-აზნაურის, ანუ სხვა წოდების ოჯახი, რომელიც-კი მარტო თავის მამულის შემოსავლითა სცხოვრობს და ამასთანავე თავის მამულს დაქირავებულ მუშებით აკეთებს, თითონ-კი მარტო ზედამხედველობით ეხმარება შემოსავლის გაძლიერებას. ამ გვარი ნორმა მამულის რაოდენობისა სრულიად ეთანხმება ადგილობრივ მეურნეობის მიმართულებას: სადაც მამული დიდს შემოსავალს იძლევა, იქ თვით ეს ნორმაც მცირე იქნება, და სადაც მამულის შემოსავალი ნაკლებია, იქ მამულს დიდი სივრცე და სიდიდე უნდა ჰქონდეს, რომ შესაფერად აცხოვროს თავისი პატრონი—მემამულე. ერთს ნაცნობს მემამულეს ორი დესეტინა ბაღი ორთაჭალაში აძლევს წმინდა შემოსავალს წელიწადში 800 მან., მაგრამ ლაგოდახს ახლო დესეტინამ იქნება 10 მანეთიც ვერ მისცეს. შუათანა მემამულის ოჯახს თავის საცხოვრებლად რომ მოუნდეს 1,600 მან., მაშინ ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ კაცს ორთაჭალაში 4 დესეტინა აქვს, იგი ყოველთვის კარგად იცხოვრებს, მაგრამ ლაგოდახს ახლო იმას მოუნდება 160 დესეტინაზედ მეტი. ამ გვარად მამულის ეკონომიურს გარემოებაზედ, მდებარეობასა და თვისებაზე არის დამოკიდებული მისი შემოსავლიანობა, მაგრამ დიდი ადგილი უჭირავს შემოსავლის გაძლიერების საქმეში მამულის კარგად შემუშავებას. თუ ერთი დესეტინა ორთაჭალის მამული აძლევს თავისს პატრონს ყოველ წლივ წმინდა შემოსავალს 400 მან., უფრო იმიტომ-რომ ეს მამული კარგადა და დიდის ცოდნით კეთდება ყოველთვის. ჩვენ ბევრი მამული ვიცით ქალაქს გარეშემო და თვით ორთაჭალაშიაც, რომელიც არამც თუ 400 მან. არ აძლევს დესეტინაზედ თავისს პატრონს, არამედ ხანდახან აზარალებს კიდეც ხოლმე. მაინცა და მაინც, როგორც უნდა ვიანგარიშოთ, შემოსავლიანობაზედ მაშინ შეგვიძლიან ჯეროვანი სჯა ვიქონიოთ, როდესაც მივიღებთ მხედველობაში იმ საზოგადო სამეურნეო ტეხნიკას, რომელიც წესადა აქვთ უმრავლესს მამულებში. ამ მხრივ რომ დავიწყოთ სჯა იმ მამულების შემოსავლის შესახებ, რომელიც ამ ჟამად უჭირავს საქართველოს თავად-აზნაურობის უმრავლესობას, უეჭველად დავრწმუნდებით,—შემოსავალი იმ მემამულეთა, რომელთაც 73 დესეტინაზედ ნაკლები მამული უჭირავთ, ესე იგი თავად-აზნაურობის უმრავლესობისა, და ამასთან იქნება ბევრ იმათიც, რომელთაც ამაზედ მეტი მამული აქვთ, იმდენად მცირეა, რომ ვერას გზით ვერ მოახერხებენ იცხოვრონ შესაფერად და ვერც თავიანთის შვილების აღზრდას შეიძლებენ.

# ფელეტონი

## სოფლის სურათები

თუ მკითხველსაც ახსოვს, სოფლისა ცოტაოდენი ვალი გამყვა. ვგონებ ახლა-კი დროა რომ გავუსწორდე. არა, მე იმის ვალს არ შევინარჩუნებ, მაგრამ თავდა პირველად ის უნდა ვიკითხო: რა არის სოფელი? „ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?" ამის მთქმელს სოფლად მთელი ქვეყანა აქვს სახეში, რასაკვირველია, და მე-კი მხოლოდ ის სოფელი, რომელიც ქალაქებს გარეშემო ახვევია, სადაც სძინავს ფიქრს კაცისას ტკბილის ძილით, სადაც მყუდროებაა, სადაც აზრი მძლევრადაც არ გაიჭაჭანებს და თუნდა იგი, როგორც გაზაფხულზედ მერცხალი, შეფრინდეს საიდგანმე, უეჭველად კაკლის ფუღურო უნდა მოძებნოს ბინად, კაცის ტვინის მაგიერად, და იქ მოიკალათოს. სადაც სცხოვრობენ ნინიკა-პეტრიკეები, ბერუეები, მუშაკნი მიწისა, ხელ-თოხნიჩაბ-ბარიანები, მკერდ-ოფლიანნი, გულით მართალნი, აზრით ჩამქრალნი, სწავლის მონატურნი მზა-მზარეულად და ცოდნის მოსახვეჭად ხელგაუნძრეველნი... მე ისევ პირველს საკითხავთანა ვარ: რა არის სოფელი?.. რამდენი რამ იწერება სოფელზედ, სოფლიდგან, და ერთმა არა ჰკითხა თავის თავსს რა არის სოფელი, რასა ჰგავს სახითა და იერით?! ალბად ადვილი არ უნდა იყოს ამ საკითხავზედ პასუხის მიცემა დაამიტომაც ვერავინა ჰბედავს. მართლაც, არ არის ადვილი: ჯერ ერთის კაცის დასურათება სჭირს და ამოდენა თოხა-ბერუეების საერთო ხასიათის ჯამად შეკვრა, გამონასკვა, სახელის დარქმევა ადვილად გასაბედავი არ უნდა იყოს...

რა არის სოფელი, რასა ჰგავს იგი? სოფელი თქვენთვის არ ვიცი რაა და ჩემთვის სწორედ ზღვაა, ისეთი ზღვა, რომელსაც რომაელთ ღმერთს იანუსსავით ორი თავი აქვს. როგორც მოგეხსენებათ, რომაელების ღმერთი იანუსი ქანდაკებული ორ-თავიანი იყო: ერთის თავით იცქირებოდა წარსულისაკენ დაღვრემილის, დაფიქრებულის სახით, თითქოს თვალებით ეუბნებაო წარსულს... წადი, მშვიდობითო, მაგრამ თანაც ენანება მისი განშორებაო; მეორე სახით, მხიარულად შესცქეროდა მომავალს. დიაღ, სოფელიც ის ორ-თავიანი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, იანუსიანი ზღვაა, მაგრამ განსხვავებული. როგორ? ერთის თავით, თუმც ღმერთ იანუსსავით მჭმუნვარედ გაჰხედავს წარსულს, ხოლო მეორე თავი, იმის მაგივრად, რომ მომავლისაკენ მოიბრუნოს, შავის მიწისაკენ დაუხრია, თითქოს იქ არის დამარხული იმისი მომავალი, თითქოს იქ უნდა ამოიკითხონ თავისი მომავალი ბედ-იღბალიო. სოფელს სწამს, უყვარს წარსული, აწუხებს აწმყო. მომავალს რად უწყრება? იმიტომ-რომ არა აქვს პოლიტიკური იდეალი. უიდეალო ცალკე აღებული ადამიანიც ხომ ასეთია. სოფელი რომ აწმყოს რიგიანად ჰმართავდეს, რიგიანს გზაზედ აყენებდეს, გასამტყუნარი არ იქნებოდა, რადგან ნაყოფიერი აწმყო ნაყოფიერს მომავალს მოიტანს ხოლმე, მაგრამ მაგარი ისაა, რომ აწმყოც თავისებურად ესმის ამ ორ-თავა ზღვას, თავისებურად ე. ი. კუჭის მხრით, დაჰვიწყებია, რომ „არა მარტო პურითა სცხოვნდების კაცი". ღმერთი ხომ სწამს და სწამს სოფელს, მაგრამ ხანდახან იმასაც სამდურავს გამოუცხადებს ხოლმე: „შე დალოცვილო ღმერთო, რატომ არ მოჰხედავ სოფელს, რატომ არაფერს უშველი, რად იმეტებ სოფელს, რომ ხან სეტყვას მოუვლენ და ხან გვალვასო?!" სოფელს თავისი ჭკუა აქვს, ახირებული, ჯიუტი. ღმერთიც უნდა ამ ჭკუაზედ გაატაროს. რა კაი საქმეს იზამდა მართლაც ის დალოცვილი ღმერთი, რომ ერთხელ მაინც ჩამოეძახნა სოფლისათვის მაღლიდგან მრისხანედ: „ჩემი ნებაა და არა გშველი, არა ხარ ღირსი და იმიტომაო!" მაშინ უნდა გენახათ სოფელი, რამდენს კითხვებს მიაყრიდა დამბადებელს: „რათა შენ, გენაცვალე, რატომ არა ვარ ღირსი, გამაგებინე, შემატყობინე, რომ ისე მოვიქცე, როგორც შენ დამარიგებ, რასაც შენ მიბრძანებ?!." ღვთისა წინაშე, მოიქცეოდა კიდეც სოფელი ისე, როგორც უფალი უბრძანებდა, ამას არა სტყუის,—სოფლისათვის ციურს ხმას დიდი ძალა აქვს...

ეს ზღვა როდის ჰღელავს? მაშინ, როცა სოფლის სიცოცხლე, მისი არსებობა ფათერაკში ვარდება; სოფელი მაშინ აიცქვეტს ყურებს, მაშინ დაიწყებს ტორტმანს, ფიქრს, პირველად მაშინ წამოიძახებს ძალა-უნებურად: „რათა, რისთვინაო, ჩემო ძმაო?!. მაშ სოფელი უნდა დაიღუპოს? ვაჰ, დედას ჩემი მტრისასა!.. აბა, სოსიკო, აბა, პეტრიკო, აბა ნინიკო! ვიფიქროთ, ჩვენ თავს მოვუაროთ, თორემ ცუდად არის საქმე, ვიღუპებით, კაცებო! ამ „რათა", „რისთვინას" დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინც იცის, მაგრამ სოფელი, საუბედუროდ, მანამ არ გაუჭირდება, როდი ხმარობს ამ სიტყვებს. ეს „რათა", „რისთვინა" მიზეზის ძებნას მოასწავებს და ვინც ამ სიტყვას ხშირად იგონებს თავის მდგომარეობის შესახებ და კარგად შეიგნებს, კაცია თუ სოფელი, იგი არ იღუპება, იმის საქმე კარგად მიდის ამ წუთი-სოფელში.

დიაღ, როცა ხიფათი რამ დაატყდება თავზედ, მაშინ იფხიზლებს

ხიზნებისა, დროებით ვალდებულ გლეხებისა და გამიჯვნის საქმის საჩქაროდ გადაწყვეტა მაგდენად ვერას უშველის ამ უმრავლესობას საქართველოს თავად-აზნაურობისას. იმასაც ვეჭვობთ, რომ ბევრი რამ შეღავათი მიეცეს სესხის გამოტანის გაადვილებით სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკიდგან, თუმცა, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეების გადაწყვეტას.

მეურნეობის ეხლანდელი მდგომარეობა საქართველოში მაინც ნებას არ აძლევს თავისათვის საკმაო შემოსავალი აიღოს მცირე მამულიდგან. მამულის სიცოტავის გამო უმრავლესობა მაინცა და მაინც სიღატაკისა და გაჭირვებიდგან ვერ დაიხსნის თავს და სიღარიბით ჩადრეკილს წელს ვერ გაისწორებს. ვისაც-კი გული ეწვის ამ ნაკლებულობისათვის, იმან უნდა იზრუნოს და ყოველისავე ღონისძიებით დაეხმაროს ამ გაჭირვებულს თავად-აზნაურობას, სამეურნეო ტეხნიკის გაუკეთესებითა და განკარგებით გააძლიეროს მოსავალი და ამასთანავე შემოსავალიც მცირე მამულებისა. თუმცა, რასაკვირველია, ამ გვარად ჩვენის მეურნეობის ასაღორძინებლად ბევრი რამ არის საჭირო, მაგრამ უპირველესი ადგილი ამ საჭიროებათა შორის თვით-მოქმედებასა და სამეურნეო სწავლა-განათლების გავრცელებას უჭირავს.

ჩვენის აზრით, თხოვნების გაგზავნით-კი ვერას უშველის თავს დაქვეითებული საქართველოს თავად-აზნაურობა, არამედ იგი ყოველთვის იმის ზრუნვასა და ფიქრში უნდა იყოს, რომ როგორმე უფრო საუკეთესოდ ისარგებლოს იმ საშუალებით რომელიც ხელთ უჭირავს. უნდა დაარსდეს სათავად-აზნაურო სამეურნეო სკოლა, რომ მომავალმა თაობამ მაინც შეიძლოს და შეიძინოს ხერხი და ცოდნა თავისის მამულის შემუშავებისა და უნარი შემოსავლის გაძლიერებისა და გამატებისა დაცემულ თავად-აზნაურთა ფეხზედ დასაყენებლად. აი, უპირველესი და უმთავრესი საგანი თავად-აზნაურობის ყოველის გულ-შემატკივარის.

ნიკ. კავკასიძე

## ახალი ამბავი

*** გამოვიდა და ისყიდება პატარა ბროშიურა, რომელსაც სახელადა აქვს „თ. ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“. ბროშიურა დაწერილია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ უცნობის ავტორისაგან. ღირს ერთი აბაზი.

*** გუშინ, 18 აპრილს, ქალაქის გამგეობაში ვიღაც ბ-ნმა მატვეენკომ წინადადება შეიტანა, რომ ტფილისის ბუხრების წმენდა მე მომეცით იჯარით თთვეში ოც თუმნადაო. თუ შემოსავალმა იმატოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ფულიდგან მომეცეს ჩემის შრომის ჯილდოო. ამ წინადადების გასაგებად უნდა მოვიხსენიოთ აქვე, რომ ქალაქს ეხლა სამას თუმნამდე უჯდება ბუხრების წმენდა და შემოსავალი ხარჯს ვერა ჰფარავს. ბ-ნ მატვეენკოს წინადადებით-კი მხოლოდ ორას ორმოცი თუმანი დაიხარჯება ამ საქმეზედ და თუ შემოსავალმა იმატა, მაშინ, რასაკვირველია, ადვილად შეუძლიან ქალაქმა გადამეტებულის ფულიდგან მატვეენკოსაც უწილადოს რამე. ამის გამო კარგს იზამს ქალაქის გამგეობა, რომ მატვეენკოს წინადადებას დასთანხმდეს და დროებით საცდელად ასე მოაწყოს ბუხრების წმენდის საქმე.

*** როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ავლაბრის საზოგადოებასა აქვს მიცემული ქალაქისაგან საძოვარი ადგილი იჯარით 2,500 მანეთად. ამასობაში ავლაბრის საზოგადოებას საქონელი-კი არა ჰყავს, რომ აძოვოს, არამედ ბალახსა სთიბავს და ჰყიდის. თუ ჰყავს საქონელი ვისმე, ისევ ახნაზაროვს, რომელიც ნახევარს ფასს იჯარისას იხდის, ოღონდ-კი ჩემი 6,000 სული საქონელი ვაძოვო... ეხლა დავა ასტეხიათ ახნაზაროვსა და სხვა მეიჯარადრეებს. ავლაბრელებს ერთი მეექვსედი ნაწილი საძოვარისა შემოუყორულებიათ და ახნაზაროვის საქონელს არ უშვებენ იქ საძოვრად. გუშინ ავლაბრელებმა უჩივლეს ახნაზაროვს, რომ იქ 100-მდე ხეხილი ჩავყარეთ, წყაროდგან წყალს-კი სულ ეგ ჰხმარობს თავისის საქონლისათვის, ხეხილებისაკენ არ უშვებს და ხეხილები წახდებაო. ახნაზაროვი ამბობდა, რომ ადგილს ნუ შემოყორულებენ, ვიდრე საქონელს მთაში გავგზავნიდე, რადგან ცუდი ბალახია წრეულსაო. ქალაქის გამგეობამ განუჩინა, რომ ადგილს ნუ შემოუყორულებთ და ნურც ახნაზაროვი შეუკრავს წყალს სხვა მოიჯარადრეებს ხეხილისაკენ გზასაო.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაამტკიცა პროგრამა მომავალ წლისათვის, რომლითაც დადგენილია, რომ კავკასიის სამთო მმართველობამ მომავალ წელს განაგრძოს კავკასიის კვლევა-ძიება. განსაკუთრებული ყურადღება სამთო მმართველობისა მიქცეული იქნება: 1) კავკასიის შუაგულ და დასავლეთის მხარის მიმართ, სახელდობრ: ხვედურისა, ურაველისა, ციკუბანისა და მადნის წყლებისა, აგრეთვე ქუთაისის გუბერნიისა და შავის ზღვის ნაპირების მადნის წყლებისა; 2) განაგრძოს ტფილისის გუბერნიის კვლევა-ძიება, განსაკუთრებით კახეთში, ალაზნისა და იორის ხეობაზედ, საცა ბევრი მადანია ნავთისა, გლაუბერის მარილისა და სხვ. ეს კვლევა-ძიება მით უფრო საჭიროა ეხლა, რომ კახეთში რკინის გზა იქნება გაყვანილი, და 3) დაამთავროს დაღესტანში ნავთის მადნების კვლევა-ძიება. ამ მადნების კვლევა-ძიება ჩაბარებული აქვთ გეოლოგ სიმონოვიჩსა და სამთო ინჟენერებს კონშინსა, ბარბოტ დე-მარნის და გავრილოვს. ამას გარდა, სამთო დეპარტამენტს ინჟენერი რუგევიჩი გამოუგზავნია, რომელსაც მინდობილი აქვს ნავთის მადნები გამოიკვლიოს, რომლებიც იმ ადგილებში აღმოჩნდა, სადაც ეხლა კავკავის რკინის გზის ახალს შტოს აკეთებენ. აქამდე ამ მადნებით არავინ სარგებლობდა, მაგრამ როცა იქ რკინის გზის გაყვანა დაიწყეს, ნავთის მადნების პატრონებმა დიდი ყურადღება მიაქციეს და ერთის წლის განმავლობაში ერთ მილიონ ფუთამდე ნავთი ამოიღეს მადნებიდგან.

*** საერთაშორისო სამუსიკო და სათეატრო კონგრესში, რომელიც ვენაში უნდა მოხდეს, სხვათა შორის სომხური განყოფილებაც იქნება. მონაწილეობას მიიღებენ ტენორი ნერსეს შახლამიანცი და სომეხთა კომპოზიტორი ყარა-მურზა თავისის ხოროთი.

*** 14 აპრილს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ყმაწვილის ქალის ე—ს გაუპატიურებისა და ბრალდებულს პ—ს ერთის წლითა და ოთხის თთვით საპატიმროში ყოფნა გადაუწყვიტა და, ამას გარდა, ერთ დროებით ქალის სასარგებლოდ გადაახდევინა 40 მან. და ამას გარდა ყოველ თთვიურად გადახდა განუჩინა თთვეში თხუთმეტის მანეთისა, ვიდრე იგი გათხოვდებოდეს. („Нов. Обоз.“)

*** ამას წინად ბ-ნმა რატიანმა წარმოუდგინა სამეურნეო საზოგადოებას ვერმორელის ყაიდეზედ მის მიერ დამზადებული შესასხურებელი მანქანა და სთხოვა საზოგადოებას გამოეცადა იგი მანქანა და, თუ გამოსადეგი აღმოჩნდებოდა, მოწმობა მიეცა მისთვის, რომ მის მიერ დამზადებული მანქანა კარგია და გამოსადეგი. ამასთანავე ბ-ნი რატიანი აცხადებდა, რომ იგი თავის მანქანას 14 მანეთად გაჰყიდის, ე. ი. ექვსი მანეთით ნაკლებ, ვიდრე ვერმორელის მანქანა ღირსო. საზოგადოებამ ამოირჩია კომისია, რომელსაც მიანდო ამ მანქანის გამოცდა. კომისიამ 31 მარტს, საზოგადოების წევრთა მორიგს კრებაზედ, წარმოადგინა თავისი აზრი ამ მანქანის შესახებ. კომისია ცოტა არ იყოს უცხაურად მოექცა ბ-ნ რატიანის მანქანას: ნახა რამდენიმე ნაკლულევანება ამ მანქანისა და პირდაპირ-კი ვერა სთქვა, ვარგა, თუ არ ვარგა, ან შეუძლიან თუ არა საზოგადოებას მისცეს ბ-ნ რატიანს იმისთანა მოწმობა, რომ მისი იარაღი გამოსადეგია ვენახების საწამლეებლად. კომისიამ ჩამოთვალა რამდენიმე ნაკლულევანება რატიანის მანქანისა და ის კი არ აუხსნა საზოგადოებას: ამ ნაკლულევანებამ შეუძლიან სრულიად უსარგებლოდ გახადოს იგი მანქანა, თუ მაინც შეიძლებოდა მისი ხმარება, თუ, მეტადრე, მხედველობაში მივიღებთ მის შედარებითს სიაფეს? ამას გარდა კომისია ამბობდა თავისს მოხსენებაში, რომ ჩვენ არ ვიცით რამდენად გამძლეა იგი მანქანა და იქნება დიდხანს ვერ გასძლოსო. ამიტომ გამოსაცდელად ერთ-ერთს საფილოქსერო დასს უნდა გადაეცეს, რომ უფრო კარგად და დიდხანს გამოიცადოს იარაღის სიმჯგრის გაგებისათვისაო. კომისიას შეეძლო მიეწვია მეხანიკოსები და ამ საგნის განხილვა იმათთვის მიენდო, თორემ აბა რა სათქმელი იყო, რომ არ ვიცით, დიდხანს გასძლებს იარაღი თუ არა, და ამიტომ ვიდრე ერთ-ორს თთვეს არ გამოვცდით საფილოქსერო დასში, მანქანის ღირსებაზედ გადაჭრილს ვერას ვიტყვითო. საზოგადოებამ სთხოვა კომისიას, შემდეგის კრებისათვის წარმოუდგინოს საზოგადოებას გარდაწყვეტილი აზრი მანქანის ღირსების შესახებ („მეურნე“).

## საოპერო და სადრამო საღამო

გუშინ-წინ, პარასკევს, 17 აპრილს, ბ-ნმა ივერიელმა გამართა საოპერო და სადრამო საღამო. ეს საღამო, როგორც წინადაცა ვსთქვით, იმ მხრივ იყო საინტერესო, რომ განსაკუთრებით ქართული ხასიათი ჰქონდა დათმობილი მუსიკას. სხვათა შორის, წარმოადგინეს პირველი სცენა სცენა ოპერიდგან „დემონი“. დემონის როლს თამაშობდა ივერიელი, ანგელოზისას ქ-ნი არსკისა, რომელსაც სასიამოვნო მეცო-სოპრანოს ხმა აქვს. სამწუხაროდ, მეორე ოპერის სცენა, «სტრადელლასი», რომელიც წარმოსადგენად იყო დანიშნული, გამოაკლეს წარმოდგენას, რადგან ბ-ნი ჰრელოვი ყელის ტკივილით გამხდარიყო ავად და მღერა ვერ შეიძლო.

„დემონს“ შემდეგ წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „დათვი“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი მანდენოვისა, ბ-ნნი აბაშიძე და ადამიძე. ვოდევილმა საუცხოოდ ჩაიარა. არტისტებს ლამაზად დაესწავლათ როლები. ქ-ნს მანდენოვისას ნამდვილი სასცენო ნიჭი აქვს, ხოლო იგი უფრო ეგრედ წო-

---

სოფლის გონება, სოფელი მაშინ ეძებს მცოდნე კაცს. ცოდნას სოფელი პატივსა სცემს. მოემატა სოფელს ხარჯი: „აბა, მცოდნე კაცო, თუ იცი რამ ეხლა გამოგიჩნდება, — დაგვიწერე ქაღალდი, გაგვიძეხ „მთავრობაში“, შეატყობინე სოფლის დარდი და ვარამი, სოფლის ბეჩაობა, გაჭირვება, მოახსენე, ქვეყანა იღუპებაო. ხემწიფე არ დაგვღუპავს, ხემწიფე არ გაიმეტებს სოფელს დასაღუპავად, მაგრამ ემასაც ბევრი მრჩევლები ჰყავს, იმ მრჩევლებზედაც მიკართოთ ქაღალდი ხემწიფეს, რომ იმათ არაფერი გაუგონოს. თუ არ იქნებაო, ესეც ჩაგვიწერე, ბარემ მოგვიყუდეთ ზარბაზნები და ცოლ-შვილიანად ამოგვჟუჟეთო!!. ხარჯის მომატება სიკვდილზედ მეტად აშინებს სოფელს, ხარჯის მომატებას დედამამაზედ მეტადა ჰგლოვობს სოფელი. ან-კი რა ჰქნას, სიცოცხლე სიამოვნებისათვის უნდა კაცსა; სიღარიბე სიამოვნების ნაცარ-ტუტაა, სიცოცხლის შხამია. დიოგენი როდი გახლავსთ სოფელი, ბოჩკაში შეძვრეს და თავს ბედნიერად ჰრაცხდეს; ესტუმროს ისეთი წარჩინებული მეფე, როგორიც ალექსანდრე მაკედონელია, და უთხრას: „რას მთხოვ, რომ აგისრულოო“, და იმან უპასუხოს: „ჩამოდექი, მზეს ნუ მიჩრდილებო!“ აბა ერთი სოფელს მიჰმართოს ამ წინადადებით იმისთანა წარჩინებულმა კაცმა, როგორიც ალექსანდრე იყო, მაშინ ჰნახავთ სოფელი რასაც მოსთხოვდა. რასა, როგორ გგონიათ? ერთის სიტყვით მოგახსენებთ: ძველი დროება დამიბრუნე, შენი ჭირიმე, ბატონო, ძველი დროება, ხოლო ბატონ-ყმობა-კი არ მინდაო.

— ძველი დროება უბატონ-ყმოდ როგორ იქნება, რასა ჰბრძანებ, სოფელო?

— ბატონი არ მინდა, უბატონოდაც იოლად გამოვალ.

— ძველი დროება რომ დაბრუნდეს და თანაც ძველი ბატონები დაცოცხლდნენ, მერე?

— არა, ისინი ნუ დაცოცხლდებიან. რა იმასთან სახსენებელია ესენი-და, ნეტავი, შენის კარგა ყოფნით, თამარ-ნეფე-კი გააცოცხლა, ვაჰმე!

— რადა გგონია, რომ ბატონები არ გაცოცხლდებიან ძველს დროსთან ერთად?

— რასა ბძანებ, ღმერთი გადღეგრძელებს, აღარ ინდომებდნენ ბატონობას. წინ მიტანილ პურის ჭამაც ეზარებათ და, თუ არ დაგიშლია, ყმების ალიონ-ჩალიანს გამოუდგებოდნენ.

— რად გინდა მაშ ძველი დროება?

— იმიტომ, რომ ჩაფი ღვინო აბაზ დ ყოფილა და კოდი პური ექვს შაურად.

— მაშ ლეკებს, სპარს-ოსმალებს რა უყოთ, დავჭრათ ყელები? რად დაგავიწყდა, სოფელო, როგორს ნაცარ-ტუტას გადენდნენ. ხომ გახსოვს ლეკების გზის პირებზედ სანგალ-საყუჩები, რომ კაცს აღარ გაევლებოდა, ან იდუმალ მოსული ტყვია მოჰკლავდა, ან თავზედ გაპრიალებული ხანჯალი?

— აბა მაშინ დავაფასებდით ერთმანეთსა, მაშინ შავიყვარებდით ერთი მეორეს, სხვისი სიცოცხლე ჩემსავით დამიფასდებოდა, მტერთან გამომადგებოდა. ეხლა ერთის სიცოცხლე მეორის სიკვდილად გადაქცეულა. აბა პირი და სიყვარული მაშინ იქნებოდა. ეხლა ერთს მეორე აღარ ესაჭიროება: თუ სუდში მოწმად დასჭირდა, ერთს-ორს არაყს გადააკვრევინებს და გათავდა საქმე.

— მაშ არც „კანცელარია“ და სუდია-მამასახლისები გინდა?

— არა, არა, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, ცაში ჰქონდეთ იმათ ბინა, იქ ისამართლონ.

— მაშ არც ძუა გამონასკულ ცხენით „ვარსკვლავით“ გამობრწყინებული ჩაფარი გინდა?

— ჰოი, ღმერთმა დასწყევლოს!.. არა, არა, შენი ჭირიმე!

— მაშ არც სუდია, არც ნაჩალიკი?

— მართალია, ისენი დიდი კაცებია, მაგრამ იმათაც ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, უიმათოდაც იოლად გამოვალ.

— შენ, სოფელო, როგორც გატყობ, დიამბეგობა მოგწყურებია?

— დიამბეგობა?! ოი, ღმერთმა დასწყევლოს, დაშამათოს დიამბეგიცა და იმის საფლავ-სამარეცა... არა, შენ გენაცვალე, ნურც ეგრე გაიმეტებთ სოფელსა... ღმერთი ხომ ჰხედავს, თუ კაცნი ერთმანეთს ვერა ვხედავთ!

— შენ, როგორც გეტყობა, ტყის ნადირივით მოგწადებია თავისუფლად ნავარდობა უუფროსოდ, უხარჯოდ?!

— არა, შენი ჭირიმე, როგორ შაიძლება. განა მაგდენიც არ ვიცი. ჯერ ცხვრები არ დადიან უბელადოდ, ისინიც თხას ირჩევენ „ქეჩად“. არა, შენი ჭირიმე, უფროსიც მინდა, ეგეთი-კი არა, როგორიც მოგახსენე, და ხარჯსაც ვიკისრებ, რაც ჩემს საწყლობას შაეფერება, რაც შამიძლიან.

— სწავლა, სკოლა არ გინდა?

— სწავლაც მინდა, მაგრამ ეგეთიკი არა, ჩვენმა „ატუკანტმა“ „ნიკორამ“ რომ იცის: სხვისა ღლეტა-ცვეთისა. ეგეთი სწავლა ხელს არ მომცემს.

ბევრს რასმე ითხოვდა სოფელი, მაგრამ ზოგს სათხოვარზედ უნდა სდუმდნენ ბაგენი ჩვენნი და სოფლისანიცა.

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული დრამატიული „ენჟენიუა“, ვიდრე საკომედიო, და ამიტომ უფრო კარგს იზამს, რომ დრამებში მიიღოს ხოლმე მონაწილეობა. ყმაწვილს ქალს სალაპარაკოს შესაფერი მიხვრა-მოხვრა აქვს, ხმას ლამაზად უქცევს და სცენაზედ თავი კარგად უჭირავს. სწორედ დიდად გამოსადეგი და საჭირო არტისტი შეიქმნება ეს ქალი ჩვენის სცენისათვის, თუ თავი დაუდო. აბაშიძემ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება ლავისის თამაშობით. ამათ მხარში უდგა აგრეთვე ადამიძეც, რომელიც მოსამსახურეს როლსა თამაშობდა. მოთამაშენი რამდენჯერმე გამოიწვია საზოგადოებამ და ტაშით დააჯილდოვა.

შემდეგ დივერტისმენტი გაჰმართეს, რომელშიაც ცხომელიძემ იმღერა ოპერიდგან „დემონი“, რომანსი „რომ გიყვარდე“, სერენადა და სხ. ქ-ნმა მანდენოვისამ საუცხოოდ წაიკითხა ცახელის ლექსი „ქრისტე აღსდგა“, რომლის შემდეგაც საზოგადოებამ ყვავილებით სავსე კალათა მიართვა. აბაშიძემ სომხური სცენა სთქვა. ადამიძემ რამდენიმე ლექსი წაიკითხა საზოგადოების სურვილით. ეს ახალგაზდა არტისტი საზოგადოდ მოხდენით კითხულობს ლექსებს და საკითხავსაც კარგად ურჩევს საზოგადოების გემოვნებას. ლამაზადვე წაიკითხა ორი გლეხური სცენა ბ-ნმა ნებიერიძემ გლეხის ტანისამოსითვე.

დასასრულ ქ-ნმა მანდენოვისამა და ბ-ნმა მურადოვმა ლეკური ითამაშეს. სალამოზედ საკმაოდ თავ-მოყრილი საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

მანოელიძე

---

## საპასუხოდ

ეს ერთი ხანია მოსვენება აღარა მაქვს!.. ჩემიანი თუ სხვისიანი, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა ერთად და ერთ ნაირად მესაყვედურება: „რა მიზეზია, რომ შენს ნაწერს, ამ ოცდა-ათის წლის განმავლობაში აქაიქ გაბნეულს, არ მოაგროვებ და ცალ-ცალკე წიგნებად არ გამოსცემო?“

რომ ეს საყვედური თავიდგან ავიცილო, იძულებული ვარ ერთხელ და საუკუნოდ ჩემი გულის პასუხი გამოვამჟღავნო: ბევრჯელ მითქვამს და ეხლაც ვამბობ, რომ ძნელია ოჯახში მარტო-ხელობა!.. ყოველ გვარი საოჯახო ერთს ატყდება თავზედ და, რომ არა გაფუჭდეს-რა, ყველაფერს ძალა-უნებურად უნდა წაეტანოს, ყველაფერს მოჰკიდოს ხელი და ცოტ-ცოტა ყველაფერი აკეთოს!!. ამ გვარს მოუსვენარსა და გაბნეულს შრომას ჯახირს ეძახიან, მაგრამ თუ მაინც ასე არ იჯახირა მარტო-ხელა კაცმა, უეჭველია ოჯახში ცეცხლი გაუქრება და კერაც გაუცივდება. ამ ყოფაში უნდა იყოს, სანამ შვილები არ წამოეზრდება და ოჯახი არ გაკაცრიელდება; მაშინ-კი შეუძლიან მოისვენოს, რადგანაც მუშები გაინაწილებენ საოჯახო საქმეს და სათითაოდ არჩეული საქმეც უკეთ წავა. ახლა ის შვილები რომ მივიდნენ მამასთან, ანუ იმ მოხუცებულთან, ვინც უნდა იყოს, და სათითაოდ უსაყვედურონ: „შენც ჩვენს ხელობაზედ მდგარხარ; მე რომ დღეს საქმეს ვაკეთებ, ადრე შენც ხომ იმას აკეთებდი, მაგრამ ჩემსავით-კი ვერა!.. შენს ნამუშევარს აჩქარება, აფუსფუსება ეტყობა, და სხვანიო!“ რა უნდა უპასუხოს მამამ? აი რა: „მართალი ხართ, შვილებო, რომ აღარ მოგწონთ ჩემი ნაწარმოები! თქვენ ბევრად უკეთ აკეთებთ დღეს ჩემზედ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ჰნიშნავს, რომ მე ან ნიჭი, ან ოჯახის ერთგულება, ან შრომის-მოყვარეობა მაკლებოდეს! თქვენ დღეს შეგიძლიანთ თითო თავსაქმეს დაადგეთ და მთელი დრო იმ არჩეულს საქმეს მოახმაროთ ხელ-შეუშლელად და მე კი ცოტ-ცოტა ყოველიფერი უნდა მეკეთებინა, რომ თქვენამდის ცოცხალ-მკვდრად მაინც მომეტანა ის საქმეები!“

სწორედ ამ გვარი მარტო-ხელობა იყო ჩვენში სამოციანს წლებში, როცა რამდენიმე ახალგაზდა გამოვიდა სარბიელზედ ქვეყნის მუშად და დღიურ ავ-კარგიანობის სამსახურს შეუდგა. ნამდვილი მუშა სწორედ იმ ხელ-საწყოს ჰხმარობს, რომელიც საჭიროა, და არას აურ-დაურევს: ხვნა-თესვის დროს სახნისსა ჰკიდებს ხელს, თოხნის დროს თოხს აიღებს ხელში და მკის დროს-კი ნამგალს ატრიალებს. ზარმაცი და თვალთმაქცი მუშა-კი დროს შესაფერად არ ირჯება! თესვა-ხვნის დროს ის ნამგალს ჰლესავს და თანაც გაიძახის: მე უფრო შორს-გამჭვრეტელი ვარ და მომავალზედა ვფიქრობო: პური რომ შემოვა, ნამგალი მზად მექნებაო, და სხვანი... მაგრამ სოფელში ამ გვარს მუშას ცუღლუტს ეძახიან. ყოველი კაცი უნდა აწმყოს მისდევდეს და აწმყოს კეთებაში იქნება მომავლის სამსახურიც იმდენად, რამდენადაც ეს ორი დრო ერთმანეთზედ გადაკავშირებულია. საქმეს ვინც წინ უსწრებს, ის ნაყოფს ვერ მოიტანს. ამ აზრზედ იდგნენ სამოციან წლების ახალგაზდა მუშები და ამიტომაც მათი გაზომ-აწონვა, იმ დროის შეუსწავლელად, ამ დროთი არ შეიძლება. ისინი მხოლოდ იმ ფიქრში იყვნენ, როგორ დავეხმაროთ და მივეშველოთ მისაშველს და რა გვარად ვეწინაალმდეგოთ ამ მავნეს და საწინააღმდეგოსაო. „ეს საქმე პატარაა და და არ მეკადრება“, „ის პირადად არას მარგებს“, „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო“... და სხვანი ამისთანანი აზრადაც არ მოსდიოდათ!.. ხმარობდნენ ყოველ გვარს ხელ-საწყო იარაღს, რაც-კი უფრო ემარჯვებოდათ!... იმ დროს, აბა ვინ იფიქრებდა, ჩემი ფარ-ხმალი მოვჭედო და მოვქარგო, რომ ლამაზი და მოსაწონი გამოვიდესო?

ამ ახალგაზდების რიცხვში ერთი უმცროსთაგანი მეც ვიყავი და რადგანაც კალამიც მემარჯვებოდა, სხვათა შორის იმასაც იარაღად ვხმარობდი. მაშინ მე ხელოვნებაზედა და მომავალზედ-კი არა ვფიქრობდი, მხედველობაში მხოლოდ ისა მქონდა, რომ ჩემს ნაწერს დღიურ ავ-კარგიანობაზედ გაეჭრა. ის დრო წავიდა, ახლა სულ სხვა დროა. მაშინდელი ჩვენი ნაწერი და ნამუშავარიც იმავე დროს თან გაჰყვა. რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს სრულიად უმნიშვნელოა!.. და აი რად არა მსურს, რომ ჩემი ნაწერები იბეჭდებოდეს! თუ ისე დაიბეჭდება, როგორც იმ დროის მასალა, მაშინ არას ვიტყვი, მაგრამ, თუ ისე შეხედვენ, როგორც სახელოვნო და საპოეზიო ნიმუშებს, თანახმა არა ვარ! ამას მე არც თავ-მდაბლობით ვამბობ და არც მეტიჩრობით!.. გულწრფელად აღვიარებ და სხვებმა რაც ენებოთ, ის იფიქრონ, მათი ნებაა!..

აკაკი

---

## ხელოსანთა თავის გამო ქუთაისში

(წერილი ქუთაისიდგან)

წარსულის წლის პირველს დეკემბერს მოხდა ქუთაისის ხელოსანთა თავის ასარჩევად მესამე არა-ჩვეულებრივი კრება. სანამ ამ უკანასკნელ კრების განაჩენს ვაუწყებდეთ მკითხველებს, საჭიროდ ვრაცხთ, ორიოდე სიტყვით განვმარტოთ თვით ის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ეგრედ წოდებული „მესამე არა-ჩვეულებრივი კრება“. მოგეხსენებათ, რომ ჩვენს უიმისოდაც უფერულს ცხოვრებაში და განსაკუთრებით ქუთაისისაში ყოველსავე საზოგადო საქმეს თანსდევს წინ-მსვლელობის შემაფერხებელი უთანხმოება თანამოძმეთა შორის. ნაცვლად შეერთებულის ძალ-ღონით ზოგადის ინტერესის დაცვისა, ნიადაგ ფრთებს ისხამს კეთილ წარმატების უკუ-მქცევი „პარტიობა“, რომლის გამოც საზოგადოების არა-მცირედი ნაწილი ზნეობრივადაც დაბლდება, ესე იგი, პირადის ინტერესის დაცვისათვის შეუფერებელის საქციელით გვერდს უხვევს საზოგადოების მაღალსა და კეთილს ინტერესებს. ყველაზედ სამწუხარო ის არის, რომ რამდენადაც დრო მიდის, იმდენად უფრო და უფრო მწვავდება ეს ქიშპობა ჩვენს მაღალსა და დაბალს წოდებაში და ეს გამათახსირებელი აურზაური იმ წერტილამდის აჰინჰყლიანებს მკვიდრთ, რომ ერთხელ შემდგარ ყრილობისმიერ გადაწყვეტილი საგნები ხშირად იწვევს მეორე და მესამე არა-ჩვეულებრივს კრებას უკვე გადაწყვეტილის ხელ-მეორედ გადასაწყვეტად. აღნიშნულ მაგალითების აღსანუსხავად საბუთების დასახელება, თითქმის, უადგილოდ მიგვაჩნია, რადგან ყველამ უწყის, თუ რა ალიაქოთი დაჰბადა ქუთაისში თავადაზნაურთა ბანკის კრებამ შარშან. წრეულს იყო კიდევა-და, ერთი ვაიუშველებელი და ორონტრიალი ასტეხა ქუთაისის საქალაქო არჩევანებმა, რომელზედაც ხან კენჭი მეტობდა მეკენჭეებს, ხან პეტრეს მაგიერ პავლე მიდიოდა საკენჭოპიზე და ხან რა მოხდა და ხან რა...

გარემოება ნებას გვაძლევს, რომ, თუ სხვას არა, ჩვენს თავს მაინც ვკითხოთ, თუ რამდენად შესაფერებელია ამ გვარი მოქმედება, მაგრამ ყველა ამის კვალში ჩადგომა ერთობ შორს წაგვიყვანს და უმჯობესია, ისევ პირდაპირ ჩვენს საგანს დავუბრუნდეთ და მოკლე ცნობა ვაუწყოთ მკითხველს ქუთაისის ხელოსანთა სამმართველოს ყოფა-ცხოვრების შესახებ. მორიგი კრება ხსენებულის დაწესებულების მმართველის ასარჩევად შესდგა ამ ერთის წლის წინად. იმ კრებაზედ ხმის უმეტესობით აირჩიეს ბ-ნი ვ. გულაევ, ხოლო მის მოწინაამდეგე (ყოფილი ხელოსანთა თავი) ბ-ნი პ. პ—ძე გაშავკენჭებულ იქმნა. მას აქეთ კარგმა დრომ განვლო. როგორც მოუსვენარნი და კვიმატის ენისანი, ამბობდნენ, მაშინვე გაჩნდა ცალკე დასი, რომელიც სულ იმის მეცადინეობაში იყო, რომ უნაყოფოდ ჩაევლო ბ-ნ პ. პ—ძეს გამშავებელ კრებასო. ასე იყო, თუ ისე, მართლაც არ გაუვლია დიდს დროს, რომ პ—ძის მოადგილედ ახლად არჩეულმა გ—ვამ ქაღალდი წარუდგინა ხელოსანთა საბჭოს და სთხოვდა, ნება მიბოძეთ ჩემს თანამდებობას თავი დავანებოო. ჩვენ არ შევუდგებით იმის განსჯას, თუ რამ აიძულა ბ-ნი გ—ვა უარ-ეყო თანამდებობა, მხოლოდ ამას-კი ვიტყვით, რომ მისი არჩევანი, თუ არ სარგებლობას, არავითარს ზარალს არ მისცემდა ხელოსანთა წოდებას ქუთაისში.

ბ-ნ გულაევასაგან თანამდებობის უარ-ყოფამ გამოიწვია მეორედ კრების დანიშვნა. და აი სწორედ ამ კრებაზედ გამოიჩინეს ზნეობრივი სისუსტე ჩვენმა ხელოსნებმა: უმრავლესობამ აირჩია ამ კრებაზედ ისევ პ—ძე, რომელიც წინად გაშავებულ იქმნა, ის პ—ძე, რომელმაც სამის წლის განმავლობაში ხელოსანთა თავად დაჰყო და საქმეები აბურდ-დაბურდა სახელოსნო სამმართველოსი. ამას გარდა, იმის დროს სამმართველოს თანხას ცოტაოდენი ფულიც დააკლდა, როგორც აღმოაჩინა მოხელეთა საგანგებო გამომძიებამ.

სხვა რამ სიკეთე მიბრძანეთ, თორემ ამისთანები ქუთაისში იშვიათად შერჩება ვისმეს, რადგან იმ თვისების საჩივრის დამწერნი იპოვებიან აქ, რომ არამც თუ თვალ-საჩინო სურათს, უთავოსაც თავს გამოაბმენ, და აი აქ შეიქნა ერთი ჭირი მარგებელი. იმ ჭირის მეოხებით ბ-ნი პ. პ—ძე, მეორედ არჩეული თავად, პასუხის გებაში იქმნა მიცემული და შემდეგ თანამდებობისაგანაც გადააყენეს. ამ გარემოებას მოჰყვა მესამედ კრების დანიშვნა.

წარსულის წლის პირველს დეკემბერს, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, შესდგა ეს უკანასკნელი კრება. დილის ათი საათი იქნებოდა, როცა, ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თანადასწრებით, ხარაზოვის სათეატრო დარბაზში შეიკრიბნენ ხუთასამდე ხელოსანნი ხელოსანთა თავის ასარჩევად. კრების დაწყებამდის ხელოსანთ ვრცელის სიტყვით მიჰმართა დეკ. მ. რაჟდენ გიგაურმა და ნათლად აუხსნა დამსწრეთ ის გარემოება, თუ რა დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან მათთვის ხელოსანთა სამმართველოს რიგიანს წინამძღოლს. ფიცის მიღებამდე იმავე დეკანოზმა მისცა დარიგება ხელოსანთ და ურჩია, რომ, მიუხედავად ნათესაობისა, მეგობრობისა და პირადის ინტერესისა, აირჩიონ სასარგებლო კაცი.

შემდეგ ხანგრძლივისა და გაურკვეველის ხმაურობისა, კრებამ დაასახელა ხუთი კანდიდატი, რომელთა შორის კენჭის ჩამოტარებით არჩეულ იქმნა ხელოსანთა სამმართველოს თავად ბ-ნი მ. კანდელაკი. მას აქეთ აგერ ოთხი თთვე გადის და ზოგიერთ ოსტატ კაცისაგან ჯერაც არ შეწყვეტილა უსაფუძვლო საჩივრების წერა დეკემბრის არჩევანის შესახებ.

ამბობენ, ეს საჩივრები გამოძიებამაც ყველა ცილის-წამებად იცნოო, და გასაკვირველი მხოლოდ ის-ღაა, რად აბრკოლებენ ბ-ნ კანდელაკის დამტკიცებას?!

სასურველია, რომ, ვისიც რიგია, მიაქციოს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და სახეში იქონიოს ამ ჟამად უპატრონოდ მიტოვებული ხელოსანთა სამმართველო...

ივანე კილაძე

---

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ხონთქარმა აუდიენციაზედ ინახულა ბოლგარიის სადიპლომატიო აგენტი კონსტანტინოპოლისა—დიმიტროვი. ეს ამბავი მთელს ბოლგარიას სასიამოვნოდ დარჩა. ხონთქრის მიერ ნახულობა თავიანთის სახელმწიფოს წარმომადგენლისა ბოლგარელებმა იმის თავდებად მიიჩნიეს, რომ ხონთქარი ამ ჟამად კეთილ-მოსურნეა ჩვენიო. ამას გარდა, განსაკუთრებულმა გარემოებამ თვით აუდიენციისამ უფრო მეტ-მნიშვნელოვანად აჩვენა ბოლგარელებს ზემოხსენებული ამბავი. ბ-ნს დიმიტროვს ხონთქარმა უფეშქაშა ძვირფასი სათუთუნე, ბრილიანტებით მოჭედილი. ფადიშაჰმა ეს თავისი საჩუქარი თავისისავე ხელით ჩააბარა დიმიტროვს. შემდეგ აგენტი ბოლგარიისა ხონთქარმა მიიწვია მონაწილეობის მისაღებად „იფთარში“, ე. ი. იმ ცერემონიაში, რომელსაც მაჰმადიანები გაჰმართავენ ხოლმე რამაზანის მარხვის უკანასკნელს დღეს მზის ჩასვლისას. იფთარზე მიწვევა ერთი იმ უდიდეს და იშვიათ პატივცემათაგანია, რომელსაც ადვილად არ აღირსებს ხოლმე ხონთქარი თავისს ქვეშევრდომებს. თუ რომელიმე მოხელე მიწვეულ იქმნაამ ცერემონიაზედ, იმას ორკეცი ჯამაგირი ეძლევა წმ. რამაზანის თთვისა. უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელნი ყოველთვის დიდ მოწყალებადა სთვლიან ხოლმე ხონთქრის მხრივ იფთარზედ მიწვევას.

სადღესასწაულო სადილს შემდეგ ხონთქარი ერთხელ კიდევ ესაუბრა დიმიტროვს და ამბავი ჰკითხა გარდაცვალებულის დოქტორის ვულკოვიჩის ოჯახობისა. ბოლგარიის წარმომადგენელმა ისარგებლა ამ შემთხვევით და კვლავ განუცხადა ხონთქარს კანონიერი გრძნობანი ბოლგარიის ერისა და პრინცის მხრივ.

ამ ამბავს თავისი შედეგი მოჰყვა. შეიტყეს თუ არა ბოლგარიაში, მაშინვე რამდენიმე ცვლილება მოახდინეს იმ ნოტაში, რომელიც რეშიდბეის უნდა გარდაეცეს. საბჭოს პრეზიდენტმა სტამბულოვმა რამდენიმე უკმეხი სიტყვა დ აზრი ამოშალა ნოტიდგან. ნოტაში ეხლა მხოლოდ კანონიერი გრძნობანი-ღაა დარჩენილი, რაც ბ-ნმა დიმიტროვმა უკვე განუცხადა ხონთქარს კონსტანტინოპოლში, და, ამ ს გარდა, იმედია აღნიშნული, რომ ოსმალეთის მთავრობა არ ისურვებს და არ დააბინავებს თავისს სამფლობელოში ბოროტ-განმზრახველებსა და კაცის მკვლელებს, რომელთაც ჰსურდათ და სცადეს ბოლგარიის სამთავროს უფლებათა და მყუდროების დარღვევაო.

**სამხრეთ ამერიკა.** სამხრეთს ამერიკაში იქით კვირია ერთი ახალი რესპუბლიკა კიდევ აღორძინდა. გაზეთ „Times“-ის ბუენოს-აირესელის კორესპონდენტის სიტყვით, პროვინცია მატტო-გროსსო, რომელიც აქამდე ერთი ბრაზილიის შეერთებულ შტატთაგანი იყო, ეხლა ცალკე თვით-მმართველ რესპუბლიკად გახდა და სახელად იწოდა „ატლანტის იმიერი რესპუბლიკა“ (Respublica transatlantica). ამ ახალმა რესპუბლიკამ თავისი განსაკუთრებული მთავრობაც უკვე აირჩია. მატტო-

გროსსო ძლიერ მოშორებით არის ბრაზილიის სატახტო ქალაქსა და ზღვაზედ და ამიტომ მიუვალი ადგილია, სივრცით 1.379,651 ოთხკუთხი კილომეტრი უჭირავს და 72,051 მცხოვრები ჰყავს. ყველა ქვეითსა და მდინარის ჯარს ახალის რესპუბლიკისას განაგებს პოლკოვნიკი ბარბოცო. გარდა რამდენისამე კარგად გამაგრებულის ციხისა, ბარბოცოს ჰყავს აგრეთვე რიგიანად გაწვრთვნილ-განწყობილი ჯარი 1,200 კაცი. ბარბოცომ უკვე დაიპყრო არსენალი ლაცარიო. ახალს რესპუბლიკას დროშა მწვანე ცის ფერი აქვს და შუაზედ ყვითელი ვარსკვლავი აზის.

## ნაბოლარა

### მეგობარი ვიპოვე!

ძლივს ჩემის ჭკუის კაცი ვიპოვე. ჯერ-კი თვალით არ მინახავს, მაგრამ ნამდვილად შევიტყე, რომ არსებობს ასეთი კაცი ლიხის ქედს გადაღმა, ქართველია და ცოტაოდენი რუსულიც იცის ჩემსავით. თუმცა სახელი, გვარი და გარეგნობა ჩემის მეგობრისა, დუბლისა, ჯერ არ ვიცი, მაგრამ იმედია, მალე გავიცნობთ ერთმანეთს და მტკიცე მეგობრობას დავამყარებთ ურთიერთ შორის.

დიდი ხანია ვეძებდი თანამოაზრეს და ძლივს მეშველა. გამოგიცდიათ მარტოობა, თუ არა? საშინელებაა, უნდა მოგახსენოთ. ქართველი გლეხი ამბობს: «მარტო კაცი ჭამაშიაც-კი ცოდვაა», და, თუ გნებავთ უფრო ნათლად წარმოიდგინოთ ჩემი საბრალო მარტოობა, მოიგონეთ ლექსი ნ. ბარათაშვილისა: «სული ობოლი».

ესლა იმასაც ადვილად მიხვდებით, თუ როგორ გამეხარდებოდა ჩემის თანამოაზრის პოვნა, რა უზომო სიყვარულს უნდა ვგრძნობდე ჩემის ახალის მეგობრის მიმართ და რა რიგად ვისწრაფვი იმის გაცნობას. იმედია, დიდხანს არ მალოდინებს და მალე დაწვრილებით შემატყობინებს თავისს ვინაობას.

სულ მცირედმა შემთხვევამ-კი მომიტანა ასეთი გულის სამშვიდე და სიხარული: ერთმა უსახელო „ატკრიტი“ წერილმა, რომელიც ჩემს მეგობარს „ფოსტის ყუთში“ ჩაუგდია. ფუჭად რომ ვიანგარიშოთ, ჩემს მეგობარს ჩემი გაცნობა სამს კაპეიკად უღირს და მე ხომ არამც თუ არა დამიხარჯავია-რა, პირ-იქით, ამ „ნაბოლარის“ დაწერით ნება მეძლევა რედაქციის ჩასაწერალის მოღებისა.

აი ეს ჩემთვის ძვირფასი წერილი სიტყვა-სიტყვით: ერთს გვერდზედ აწერია გაუბედავის ხელით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты (ბოლო ასო „и“ არის, თუ „ы“ — საეჭვოა) „Иверія“ Г. К.

მეორე მხარეს:

„ნეტა რა ამბავია, რომ „ვაჟა-ფშაველას“ ლექსებმა აღარ მოგვასვენა. ბაირონობას ჯერ ბევრი უკლია. ქართულად მაინც სწერდეს, უწმაწურის ენით და კილო მოქცეულადა სწერს. გვეყოფა ამდენი უსიამოვნება. ოღონდ მოგვაშორე მაგ (ვითომდა) პოეტი და 10 მან. მაგივრად (15 р.) თუთხმეტი მანეთი მიირთვით. ა. ახნაზაროვის ენას მაინც ველარ დააკვირდა? გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ჩვენს თხოვნას. მარტო მე კი არა, მთელი საზოგადოება ლიხის მთის აქეთ ამ აზრის და მიმართულებისაა მაგის ლექსებზედ. მკითხველი.“

განა არა, მეც თავი მომაბეზრა ბ-ნმა ვაჟა-ფშაველამ, მაგრამ კრინტს როგორ დავსძრავდი, „ივერიის“ სწავლულებს ჩვენთ: „კუდ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირნახირაო“, მეტყოდნენ და იქნება თავშიც ჩაუფარებინათ. ესლა-კი გული მომეცა, ამხანაგი ვიშოვე და მასთან ათჯერ ათი ლეგიონი მომხრე—„მთელი საზოგადოება ლიხის მთის აქეთ“, როგორც ჩემი მეგობარი იუწყება *). აბა მაცალონ „ივერიის“ ძიძებმა, თუ ისე არ გავუხადო საქმე, რომ, ბ-ნი ვაჟა-ფშაველა-კი არა, ქალა-ხევსურაც არ დავავიწყებინო. ეს დალოცვილები, საზოგადოების გემოვნებას ხომ არ უყურებენ, რაც თვითონ მოეწონებათ, იმას „დაასმენ ზეჭედს“. თუ თავის სიამოვნებისათვის დაარსეს გაზეთი, ნუღარავის უგზავნიან და ხარჯს ტყუილად ნუ აძლევინებენ უენო მკითხველთ.

ან რა ამოჩემება არის ერთისა და ორის ავტორისა, ნუ თუ წერა სხვამ აღარავინ იცის? ან იქნება თავს არავინ იწუხებს და თავის ფიქრს ქაღალდს არ ანდობს?

სულაც არა, თქვენმა მზემ! ყოველ დღე იმდენი ნაწერი მოსდის „ივერიის“ რედაქციას, რომ თვის ბოლოს გოდრით ჰგზავნის გადასაყრელად, როგორც („ვითომდა“) უვარგისს მასალას. „მოდი და ღმერთი სთხოვე!“ აბა რა მისატევებელი საქციელია? ასი-ათასი კაცი ჰშრომობს, ოფლს იწურავს, თავს იმტვრევს, ქაღალდს, კალამს და მელანს აფუჭებს, რის ვაი-ვაგლახით ორიოდე სტრიქონს გამოაბრძმედებს, ფაქიზად გადასწერს, სუფთა კონვერტში ჩასდებს, რედაქციას გამოუგზავნის და თან საპასუხოდ მარკასაც-კი გამოაყოლებს, და აქ, მიღების უმალ, ნაგვის გოდორში გააქანებენ. ბ-ნი ვაჟა-ფშაველა-კი ორის წუთით მიბრძანდება რედაქციაში, აიღებს კალამს, მიჰკრავს, მოჰკრავს ქაღალდის ნახევ-ნაფლეთს და მესტამბეს გადაუგდებს... განა ეს მოსათმენია? მონოპოლიაა სწორედ!

ამას შემდეგ მე სულ სხვა ნაირად მოვიქცევი: ნაგვის გოდორს ჩემს საწოლთან დავადგმევინებ; რაც დაწუნებული ქაღალდებია, ღამე სულ ამოვალაგებ და ჩუმად ჩემს „ნაბოლარაში“ გამოვსჭიმავ. თუ ღმერთმა მიბრალა და ერთი თხოვნა შეიწყნარა, ჩემს თანამოაზრეებს გავახარებ. ესლა-კი ვურჩევ ჩემს ახალს მეგობარს, „ივერიის“ პირველს გვერდს, სადაც ბ-ნ ვაჟა-ფშაველას ლექსები იბეჭდება, უოველთვის თვალი არიდოს და მის მაგივრად „ნაბოლარას“ მოჰმართოს: აქ არაოდეს „უწმაწურს“ სიტყვებს ვერ შეხვდება და მისი ნაზი ყურთა-სმენა „კილო მოქცეულის“ ენით არ მოიშხამება. ამასთანავე გსთხოვ, თუ მისთვის მეტად გასაჭირი არ იქნება, ის ხუთი მანათი, რომელიც „ივერიის“ რედაქციისათვის უნდა ერუქმებინა ბ-ნ ვაჟა-ფშაველას სანაცვლოდ, საკუთრად მე გამომიგზავნოს. ეს ჩემთვის დიდი ჯილდო იქნება, რედაქცია-კი მის ხუთს მანათს ისევ ბ-ნს ვაჟა-ფშაველას და მის მომხრეებს გაუნაწილებს. რადა, რისთვის?

ამ გზობით, ჩემის ახალის მეგობრის სადღეგრძელოდ, ერთი ლექსი ამოვაცალე ნაგვის გოდრიდგან და ვუძღვნი კიდეც უსახელო მკითხველს:

> დიდ-ყურამ ბულბულს გასძახა:
> ჩემთვისაც მოიცალეო,
> მე შენი სტვენა არ მესმის,
> მაღლამცა იღრიალეო.
> მსურს ყოვლიმც ვატკბო სულდგმული,
> ჭალა-ტყე, არე-მარეო,
> შენს ყურს-კი ვერას შევასმენ,
> ღრუტუნა მოიხმარეო!

ფ.

*) ვურჩევთ ბ-ნს ნაბოლარას, ცოტა ფრთები შეიკვეცოს და თავისს მეგობარს აგრე ადვილად არ ერწმუნოს. ან დასაჯერებელია, რომ მთელი საზოგადოება ლიხის მთის იქით ერთის აზრისა იყოს რაიმე საგნის შესახებ. ის-კი უფრო საფიქრებელია, რომ რამდენიც იქ კაცია, იმდენივე აზრია, და თუ „კენჭობიას“ დროს ორად იყოფიან, ეგ მხოლოდ იმიტომ-რომ, თეთრსა და შავს გარდა, სხვა ფერის კენჭი არსად მიღებული არ არის.

## წერილი რედაქციის მიმართ

კოლლეჟსკი სოვეტნიკმა თევდორე დავითის ძემ ყორდანიამ ნოტარიუსის შუამდგომლობით შემომითვალა მე, ვითარცა მედიატორეთა ყოფილს თავმჯდომარეს, რომ მედიატორეთა განაჩენი ე. თაყაიშვილის საქმის თაობაზედ აქამომდე არ გამოცხადებულა და ამიტომ გთხოვთ განაჩენის პირი ერთის კვირის განმავლობაში ჩამაბაროთო.

პასუხად ამისა უნდა განვუცხადო ბ-ნს ყორდანიას, რომ: 1) მედიატორეთა განაჩენი არც ერთ მხარეს (არც ბ-ნ ყორდანიას და არც ბ-ნ თაყაიშვილს) პირადად არ გამოსცხადებია, რადგან ორივე მხარემ ცალკე ხელ-წერილით გამოუცხადეს მედიატორეებს, რომ განაჩენი გაზეთს „ივერიაში“ დაიბეჭდოსო. რადგან, თანახმად ამ ხელწერილისა, განაჩენი დაიბეჭდა „ივერიის“ ამა წლისა 5 თებერვლის მე-27 №-ში, ამიტომ 5 თებერვალს იგი განაჩენი გამოცხადებულად უნდა ჩაითვალოს, და 2) დაბეჭდილი განაჩენი ნამდვილთან სრულიად სწორია.

ალექსანდრე ჭყონია

## დეპეშა

17 აპრილი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა გარდაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოსი, რომ შეერთებულ-შეთანხმებულ იქმნას ახალი დაკანონება კანონის სათანადო მუხლებთან იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა აგონ პასუხი უმაღლესმა მოხელეებმა თავის მოვალეობის დარღვევისათვისაო.

**ჩისტოპოლი.** მდ. კამზედ სულ ჩამოდნა ყინული. აქ ნაზამთრევი გემები დღეს წავიდა ყაზანს.

**პარიჟი.** მომეტებული ნაწილი გაზეთებისა ჰკიცხავენ მოსამართლეებს რავაშოლისას გულ-ჩვილობისათვის. გაზეთები იუწყებიან, დღეს დილით უპირობდნენ სახლის გაჩხრეკას ბევრს ანარხისტს. ნაბრძანებია, რომ რამდენიმე მათგანი დაპატიმრებულ იქმნასო.

**ვენა.** გუშინ აქ მოვიდა პრინცი ფერდინანდი კობურგელი. პრინცი შემდეგ კანნში წავა ჰერცოგ ერნსტ კობურგელის ქორწინების 50 წლის შესრულების დღესასწაულზედ დასასწრებლად.

**ზანზიბარი.** დოქტორი შტულმანი მივიდა $^{3}/_{15}$ თებერვალს ბუკოვაში ემინ-ფაშის ექსპედიციის უმეტესის ნაწილითურთ. უნჯუმაში წასვლა ავადმყოფობამა და სიმშილმა დაუშალა. ემინ-ფაშა ავად გახდა და ნელა მისდევს რაზმსა.

პეტერბურგის ბირჟა, 17 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,76 | 7,81 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1,12 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 237½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 196 | 197¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 101½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 101½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99½ | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

## სიმრთელის კიდობანი

ოჯახში საკითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი, შედგენილი ილია სულაქველიძისაგან და განხილული პეტერბურგში მკურნალთა რჩევაში, თითო წიგნი 1 მანეთად ისყიდება:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში, გორში — არსენ კალანდაძისაში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა და წერეთლისაში, ბათუმში—ნიკოლაძისაში და ფოთში—ძმათა ნოდიათა წიგნის მაღაზიაში, ბექათუბანში—ანდრია შათვათავასთან; ყვირილაში—იორდანე ცერცვაძესთან; სამტრედიაში—კონსტანტინე ვაჩეიშვილთან; ნაგომარში—ა. კილურაძესთან; ფოთში—ავტორთან.

ვინც იყიდის 20 ცალს ნაღდს ფულზე, თითო ცალი 80. კ. დაეთმობა. (8—8)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა ოქროსი

### ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее; ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

### ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—3)

### საცუალეტო საშუალება დედათათვის



БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ
Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.

იხმარება კანისა, სახისა და ხელების დასაბანად.

**წესი ხმარებისა:** ამ ბალზამის შემზადების დროს უმთავრესი ყურადღება იმასა აქვს მიქცეული, რომ ისეთი მასალა არა ერიოს-რა შიგ, რაც კანს ახდენს და აფუჭებს. ფასი: შუშა ჰლირს 1 მ. 65 კ. **ბენზოის საპონი** 35 კ. და 50 კ. ნაჭერი და **ოპო პომადა** (კოლდ-კრემს სჯობია) 1 მ. შეხვევა და გაგზავნა ევროპის რუსეთში 70 კ., აზიის რუსეთში—1 მ. უმთავრესი საწყობი მთელს რუსეთისთვის იმყოფება ვ. აურიხთან, ს.-პეტერბურგს, კოლოკოლ., 18—19. შეიძლება ყიდვა ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში და რუსეთის ზოგიერთ აფთიაქში. (7—7)


Дозв. ценз. Тифлисъ, 18-го Апрѣля 1892 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.